

შპს „ჰიგი ფეიფერი“

ქალაქის ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა)  
(ქ. თბილისი, მარნეულის ქ.№46)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

---

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia  
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: [makich62@mail.ru](mailto:makich62@mail.ru)

## 1. ზოგადი მიმოხილვა

შპს „ჰიგი ფეიფერი“-ს დაგეგმილი საქმიანობის - ქალაქის ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის ქ.№46-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 01.18.12.020.001, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 58213კვ.მ.-ს. ტერიტორიაზე არსებული შენობებიდან, დაგეგმილი საქმიანობისათვის გამოყოფილი შენობა, ფართობით 350კვ.მ. და მის მიმდებარედ არსებული სახურავის ქვეშ მოქცეული ღია ტერიტორია, მიახლოებითი ფართობით 40კვ.მ. მდებარეობს ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. ნაკვეთის მფლობელთან(შპს „ბაზალტ ტრანსი“) ურთიერთობა რეგულირდება იჯარის ხელშეკრულებით(დანართი 4). ტერიტორია მთლიანად შემოღობილია, ზედაპირი მოასფალტებული. ნაკვეთის დასავლეთ მხარეს, მისგან 5 მეტრის დაშორებით მდებარეობს რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები შპს „ქართული რძის პროდუქტები“, შპს „ეჩელი ჯორჯია“, შპს „კალინა ჯორჯია“, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან 17 მეტრის დაშორებით - შპს „გოთიკა“ - ბეტონის კონსტრუქციების მწარმოებელი საწარმო. საცხოვრებელი სახლები განლაგებულია საკადასტრო საზღვრიდან როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის მხარეს. უახლოესი მოსახლე საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 15 მეტრით ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით(81.05.01.217). უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. მტკვარი საწარმოს ზემოქმედების ზონიდან დიდი მანძილითაა დაშორებული. საწარმოს მიმდებარედ, საკადასტრო ფართობის ფარგლებში განთავსებულია გუბურა, მიახლოებითი ფართობით 50კვ.მ., რომლის კვება ხორციელდება გრუნტისა და წვიმის წყლებით. სასმელი წყალი საწარმოს მიეწოდება თბილისის წყალმომარაგების ქსელიდან, ტერიტორია მთლიანად კანალიზირებულია.

დანართი 1.1.-ზე წარმოდგენილია ორთოფოტო საწარმოს განთავსების ადგილის, ზოგიერთი ინფრასტრუქტურული ობიექტის ჩვენებით და უახლოეს მოსახლემდე მანძილის მითითებით. საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემუშავებული ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

### ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „ჰიგი ფეიფერი“
იურიდიული მისამართი	თბილისი, გ.ონაშვილის ქ., კორ. 2, ბ. 20
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. თბილისი, მარნეულის ქ.№46
საქმიანობის სახე	ქალაქის ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა)
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	206335349
ელექტრონული ფოსტა	Davit444@gmail.com
საკონტაქტო პირი	დავით გურგენიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 77 54 96 96
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. „BS Group“
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.№159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

დანართი 1.1.



## 2. საქმიანობის აღწერა

საწარმოს მოწყობა დაგეგმილია კაპიტალურ შენობაში ფართობით 350კვ.მ.

ნედლეულის(მაკულატურა) შემოტანა იგეგმება სხვადასხვა მომწოდებლისგან. საქმიანობის პროცესში ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება ავტოტრანსპორტის საშუალებით. ნედლეულის მიღება-დასაწყობება მოხდება ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისათვის გამოყოფილი შენობის მიმდებარედ, სამი მხრიდან ღია სათავსში სახურავის ქვეშ, სადაც ასევე განთავსდება ქაღალდის საჭრელი დანადგარი.

საწარმოო ციკლის პირველ ეტაპზე ხორციელდება ხელით მაკულატურის გადარჩევა, პლასტმასის, მეტალის, თოკების, ე.წ სკოჩისგან განცალკევება. ნედლეული არ იქნება დაბინძურებული ზეთოვანი და ცხიმოვანი ნივთიერებებით. გადარჩევისას გათვალისწინებულია, რომ ნედლეული არ უნდა შეიცავდეს წყალში ხსნად მასალას-კალკა, სურათებს, ელ/კარდიოგრამებს ფირებს და ა.შ.

ხელით გადარჩეული მაკულატურა მიეწოდება ჰიდროდამაქუცმაცებელს, რომელიც ახორციელებს ნედლეულის ბოჭკოების განშრევებას წყლის საშუალებით. შემდგომ დაქუცმაცებული მასა გადადის ნედლეულის(დაქუცმაცებული მასის) მიმღებ ორ რეზერვუარში, საიდანაც წყლის წისქვილის ტუმბოს საშუალებით ადის ზედა, მესამე რეზერვუარში. საბოლოო დაქუცმაცებული მასა ჩამოედინება კაპრონის ბადურაზე, საიდანაც წყალი ჩაედინება სპეციალურ სალექარ ორ რეზერვუარში. კაპრონის ბადურაზე ჩამოდენილი ქაღალდის მასა ეკვრის საშრობ ცილინდრს, რომელიც ცხელდება ორთქლით. საბოლოოდ გამომშრალი მიღებული ქაღალდი ეხვევა დიდ რულონებად, რომლიდანაც შემდგომ გადახვევა ხდება სპეციალური ქაღალდის გადასახვევი დანადგარის მეშვეობით პატარა რულონებად, რომელსაც შემდგომ ეკვრის ეტიკეტი და იჭრება ქაღალდის საჭრელი ხერხით, რა დროსაც წარმოიქმნება ჭრის შედეგად წარმოქმნილი ქაღალდის ჩამონაჭრები, რომელიც ბრუნდება კვლავწარმოებაში.

საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია 10 კუბ.მ. მოცულობის ლითონის ოთხი რეზერვუარის მოწყობა, რომელთაგან ორი მათგანი გამოყენებული იქნება წყლის დაგროვებისათვის, საიდანაც წყალი მიეწოდება ჰიდროდამაქუცმაცებელს, ხოლო ორ რეზერვუარში დაილექება საწარმოო წყალთან(კაპრონის ბადურიდან დალექილი წყალი) ერთად გამოყოფილი დაქუცმაცებული მასა. რეზერვუარების გაწმენდა მოხდება ყოველ მეორე-მესამე დღეს. წარმოქმნილი ნალექი ბრუნდება კვლავწარმოებაში. აღნიშნული პროცესებისათვის წყალაღება მოხდება ტერიტორიაზე არსებული გუბურიდან. ადგილი ექნება წყლის ცირკულაციას - რეზერვუარებში დაგროვილი წყალი გამოყენებული იქნება ყოველ შემდგომ ციკლში. ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფილი მიმდინარეობისათვის საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20კუბ.მ-წყალს. წყლის დანაკარგების შესავსებად, რომელიც გამოწვეულია წყლის აორთქლებით, გამოყენებული იქნება გუბურის წყალი, ხოლო გუბურის დაშრობის ან მასში წყლის არასაკმარისი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ცენტრალიზებული წყალმომარაგების წყალი. ყველა ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებულია.

საწარმოს საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 1500კვ დღე-ღამეში. წელიწადში 300 სამუშაო დღის 24 საათიანი რეჟიმით მუშაობის შემთხვევაში გადამუშავებული ნედლეულის საერთო რაოდენობა შეადგენს 450 ტონას, ხოლო მიღებული პროდუქციის რაოდენობა - 420ტონა/წელს. საშრობი ცილინდრის ორთქლით გაცხელებისათვის გამოყენებულია ბუნებრივი აირი, მოცულობით 110000კუბ.მ/წელი. ორთქლის მიღება მოხდება საწარმოს შენობაში განთავსებულ საქვაბეში. ბუნებრივი აირის წვის პროდუქტები გაიფრქვევა საქვაბის მაგნე ნივთიერებების გაფრქვევის მილიდან.

ტექნოლოგიური ციკლის შემადგენელი ოპერაციების უმრავლესობა ხორციელდება დახურულ, კაპიტალურ შენობაში. ღია ტერიტორიაზე განთავსდება ნედლეულის მიმღები საწყობი, ქაღალდის საჭრელი დანადგარი, ჰიდროდამაქუცმაცებელი, წყლის ოთხი რეზერვუარი. შენობის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ორსართულიანი მიშენების მეორე სართულზე განთავსდება ჰიგიენური კვანძი, ოფისი, მუშა-მოსამსახურეთა მოსასვენებელი ოთახი, სასადილო.

საწარმოში დასაქმებული იქნება 24 ადამიანი.

## **2.1. წყლის გამოყენება**

წყლის გამოყენებას ადგილი ექნება შემდეგი მიზნებით:

### **1.საწარმოო მიზნით;**

### **2.საყოფაცხოვრებო მიზნით.**

#### **2.1.1. წყლის გამოყენება საწარმოო მიზნით**

საწარმოო მიზნით გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 50კუბ.მ/წელს. წყლის გამოყენებას ადგილი აქვს ჰიდროდამქუცმაცებელში და საქვაბეში წყლის ორთქლის მიღების მიზნით. ადგილი აქვს წყლის ცირკულაციას. წყალაღება განხორციელდება ტერიტორიაზე არსებული გუბურიდან, დანაკლისის შემთხვევაში - თბილისის წყალმომარაგების ქსელიდან.

#### **2.1.2.წყლის გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნით**

საწარმოში დასაქმებული იქნება 24 მუშა-მოსამსახურე, შესაბამისად გამოყენებული წყლის წლიური რაოდენობა შეადგენს:

$24 \times 0,045 \times 300 = 324,0$ ტონა/წელი. წყალაღება განხორციელდება ქ. თბილისის ცენტრალიზებული წყალმომარაგების ქსელიდან.

## **3. ჩამდინარე წყლები**

საწარმოდან ადგილი ექნება მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების არსებობას.

საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება თბილისის საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, სანიაღვრე წყლების წარმოშობას ადგილი არ ექნება.

## **4. საწარმოს მოწყობის მიმართულებით შესასრულებელი სამუშაოები**

საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების განთავსდება უკვე არსებულ კაპიტალურ შენობაში, რომელშიც მიწის სამუშაოების შესრულებას ადგილი არ ექნება. მოხდება ტექნოლოგიური დანადგარების ერთმანეთთან დაკავშირება მილგაყვანილობით, ასევე სანიტარული კვანძის მოწყობისათვის ანალოგიური სამუშაოების განხორციელება და გარკვეული კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარება(ლესვა, ღებვა და სხვა). სამუშაოებს განახორციელებს კონტრაქტორი კომპანია.

## **5. ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტი, ტრანსპორტირების ჯერადობა**

ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება დაბალი ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებებით. საწარმოს საპროექტო სიმძლავრის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობა შეადგენს 1-ს ორი სამუშაო დღის განმავლობაში. ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება მოხდება მარნეულის ქუჩით, რომელიც უკავშირდება კახეთის გზატკეცილს(დანართი 1.1.).

## **6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და ანალიზი**

### **6.1. ზემოქმედებები, რომლებიც ამოღებულია განხილვიდან ან დაექვემდებარა განხილვას.**

#### **6.1.1. მშენებლობის ეტაპი**

დაგეგმილი სამუშაოების მცირე მასშტაბის და ხანგრძლივობის, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამუშაოებს შეასრულებს კონტრაქტორი კომპანია, აღნიშნულ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედება განხილვას არ დაექვემდებარა.

#### **6.1.2. ექსპლუატაციის ეტაპი**

ინფორმაციის ანალიზის შედეგად საქმიანობის სპეციფიკის და შერჩეული ტერიტორიის არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზოგიერთი სახის ზემოქმედებები განხილვას არ დაექვემდებარა და შესაბამისად მათ შესამცირებლად რაიმე კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება სავალდებულოდ არ ჩაითვალა. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებების

სახეები ექსპლუატაციის ეტაპზე, მათი უფულვებელყოფის მიზეზების მითითებით, მოცემულია ცხრილში 6.1.

ცხრილი 6.1. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები ექსპლუატაციის ეტაპზე

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი	<ul style="list-style-type: none"> <li>საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში მნიშვნელოვანი გეოლოგიური პროცესების განვითარებას ადგილი არ ექნება;</li> </ul>
ზემოქმედება ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებზე, დაცულ ტერიტორიებზე	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის ზეგავლენის არეალში ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, დაცული ტერიტორიები არ მდებარეობენ;</li> <li>მიწის სამუშაოები არ შესრულდება, ამიტომ არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის ფაქტებს ადგილი არ ექნება.</li> </ul>
ზემოქმედება ზედაპირულ, გრუნტის წყლებზე	<ul style="list-style-type: none"> <li>საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენებას ადგილი აქვს, ამიტომ ჩამდინარე წყლის წარმოშობას ადგილი არ ექნება - ექსპლუატაციის არც ერთ ეტაპზე არ მოხდება წვიმის წყლის დაბინძურება რაიმე სახის დამაბინძურებლებით, ამასთან საწარმოს ზემოქმედების ზონაში ზედაპირული წყლის ობიექტი არ არსებობს.</li> </ul>
ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	<ul style="list-style-type: none"> <li>სატრანსპორტო ოპრაციების ჯერადობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება;</li> </ul>

**6.2. ზემოქმედებები ექსპლუატაციის ეტაპზე**

**6.2.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე**

**6.2.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები**

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ბუნებრივი აირის წვის პროდუქტების, როგორებიცაა აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ნახშირორჟანგი, ასევე ქალაქის რულონებად დაჭრისას წარმოქმნილი ქალაქის მტვრის სახით. გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენენ საწარმოს საქვების მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მილი, ხოლო ქალაქის მტვრის გაფრქვევას ადგილი ექნება ერთი მხრიდან დახურული ნაგებობიდან.

**6.2.1.2. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები(იხ. ცხრილი 6.2.);**

ცხრილი 6.2.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
0301	აზოტის დიოქსიდი	0.2	0.04	2
0337	ნახშირჟანგი	5.0	3.0	4
2962	ქალაქის მტვერი	-	-	-
-	ნახშირორჟანგი	-	-	-

**6.2.1.3. ფონური კონცენტრაციები**

ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობები დგინდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფეროს დაბინძურების დაკვირვების პოსტებზე რეგულარული დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე. ამ მონაცემების არარსებობის შემთხვევაში ფონური კონცენტრაციის სავარაუდო მნიშვნელობები აიღება ცხრილი 6.3.-ის მიხედვით.

ცხრილი 6.3.

მოსახლეობის რაოდენობა, ათ. კაცი	ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა, მკ/მ <sup>3</sup>			
	აზოტის დიოქსიდი	გოგირდისდიოქსიდი	ნახშირჟანგი	მტვერი
250-125	0,03	0,05	1,5	0,2
125-50	0,015	0,05	0,8	0,15
50-10	0,008	0,02	0,4	0,1
<10	0	0	0	0

მოცემულ შემთხვევაში თბილისის გარეუბნისათვის გამოყენებული იქნება ცხრილის მეორე რიგში (125-50ათ.კაცი) მოცემული მნიშვნელობები.

**6.2.1.4. ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები(ცხრილი 6.4.)**

ცხრილი 6.4.

პარამეტრის დასახელება	პარამეტრის მნიშვნელობები
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის მახასიათებელი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 0C	24.1
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 0C	0,4
ქარების მიმართულების წლიური განმეორებადობა, %	
- ჩრდილოეთი	1
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
- აღმოსავლეთი	6
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
- სამხრეთი	6
- სამხრეთ-დასავლეთი	2
- დასავლეთი	3
- ჩრდილო-დასავლეთი	66
- შტილი	37
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორებაა 5 %, მ/წმ	20,2

**6.2.1.5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში**

**1. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში საქვაბიდან, გ-1**

ლიტერატურული წყარო [2] -ის თანახმად 1000 კუბ.მ. ბუნებრივი აირის წვისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა: აზოტის დიოქსიდი - 0,0036 ტონა, ნახშირჟანგი - 0.0089 ტონა, ნახშირორჟანგი - 2 ტონა. საწარმოს მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირის საერთო რაოდენობა შეადგენს 110000 კუბ.მ/წელს, ამიტომ ბუნებრივი აირის წვისას მთლიანად საწარმოდან გაიფრქვევა:

აზოტის დიოქსიდი:

$$M = 110000 \times 0.0036 / 1000 = 0,396 \text{ ტ/წელ}$$

$$G = 0,396 \times 10^6 / (300 \times 24 \times 3600) = 0,0153 \text{ გ/წმ}$$

ნახშირჟანგი:

$$M = 110000 \times 0.0089 / 1000 = 0,979 \text{ ტ/წელ}$$

$$G = 0,979 \times 10^6 / (300 \times 24 \times 3600) = 0,038 \text{ გ/წმ}$$

ნახშირორჟანგი:

$$M = 110000 \times 2 / 1000 = 220,0 \text{ ტ/წელ};$$

**2. ქალაქის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ქალაქის რულონებად დაჭრისას, გ-2**

საწარმოს მონაცემების მიხედვით ქალაქის დაჭრისას ქალაქის დანაკარგის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს მიღებული პროდუქციის 0,5%-ს, ამიტომ:

$$M = 420 \times 0,05 / 100 = 0,21 \text{ ტ/წელ};$$

$$G = 0,21 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0067 \text{ გ/წმ};$$

**6.2.1.6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ცხრილში 6.5)**



ცხრილი 6.5.

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	წყაროს ნომერი	გაფრქვევა-გამოყოფის წყაროს		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს მუშაობის დრო		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაეროვანი ნარევის პარამეტრები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოსვლის ადგილას			დამაბინძურებელ ნივთიერებათა კოდი	ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სიმძლავრე		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები	
		დასახელება	რაოდენობა	დღე-ღამეში	წელიწადში	სიმაღლე,მ	დიამეტრი	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა, მ <sup>3</sup> /წმ	ტემპერატურა, 0C	მაქს,გ/წმ	ჯამური, ტ/წ	X	Y	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
	გ-1	საქვაბე	1	24	7200	5	0,2	11,1	0,09	120	0301	0,0153	0,396		
											0337	0,038	0,979		
											-	-	220,0		
	გ-2	ქალაქის საჭრელი ხერხი	1	24	7200	1,0	0,1	0,076	0,0006	20	2962	0,007	0,21		

**6.2.1.7. ატმოსფერულჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი**

ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობების და რაოდენობების დასადგენად გამოყენებული იქნა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს. მანქანური ანგარიშისას ზდკ-ს მნიშვნელობები განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში - საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 200მ x 200მ, ბიჯით - 50მ. ანალიზი განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო. ფონად აღებული ცხრილი 6.3.-ის მეორე რიგის მონაცემები(თბილისის გარეუბნისათვის 125-50ათ. მოსახლე).

გათვლები ჩატარებული იქნა:

1.საწარმოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ნულოვანი წყაროდან ყველაზე ახლოს მდებარე მოსახლის(01.18.12.019.040) საზღვარზე, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 31 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 114 მეტრით, კოორდინატებით: X = 105 მ, Y=-45მ.

2.საწარმოს სამხრეთ-დასავლეთის მხარეს მდებარე რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების საზღვარზე, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 5 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 145 მეტრით, კოორდინატებით: X = -144 მ, Y=-20მ.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 7.8

ცხრილი 7.8

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან	
		114 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე 0-ვანი გაფრქვ.წყაროდან, კოორდინატებით X = 105 მ; Y=-45მ.	145 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე 0-ვანი გაფრქვ.წყაროდან, კოორდინატებით X = -144 მ; Y=-20მ.
1	2	3	4
აზოტის დიოქსიდი	301	0,24	0,19
ნახშირბადის ოქსიდი	337	0,24	0,19

წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოეს მოსახლის, ასევე რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების საზღვარზე, არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

**6.2.2. შემარბილებელი ღონისძიებები**

- ექსპლუატაციის ეტაპზე გამოყენებული ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- საქვაბეში ბუნებრივი აირის წვის ხარისხზე ვიზუალური კონტროლი.

**6.3. ხმაურის გავრცელება**

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის წარმომქმნელ წყაროს წარმოადგენს წყლის წისქვილის ტუმბო, რომელიც იმუშავებს დახურულ სივრცეში. აღნიშნული ტუმბო წარმოადგენს დაბალი ხმაურის გამომწვევ დანადგარს. ხმაური შეიძლება განვიხილოთ როგორც დაბალი დონის. რაიმე სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება მიზანშეუწონლად ჩაითვალა.

#### **6.4. ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედება**

საწარმოს ტერიტორია დაფარულია ასფალტის ფენით. გრუნტზე ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებებიდან და ტექნიკიდან საწვავის ან ზეთების გაჟონვის შემთხვევაში. ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში გატარდება შემდეგი ღონისძიებები: გრუნტის დაბინძურებული ზედაპირი დაიფარება ადსორბენტით, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის სრულ ადსორბციას და დაბინძურებული ადსორბენტი განთავსდება სახიფათო ნარჩენების კონტეინერში, რის შემდგომ გადაეცემა იმ კომპანიებს რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოონ სახიფათო ქიმიური ნარჩენების გადამუშავება, აღდგენა ან უტილიზაცია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გრუნტზე ზემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს დაბალი დონის ზემოქმედებად.

#### **6.5. ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება**

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნებას მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნას, როგორებიცაა საყოფაცხოვრებო სათავსოების და საკვების ნარჩენები, ქალაქის და მუყაოს ნარჩენები, პოლიეთილენის პარკების ნარჩენები, მინის, პლასტმასის და სხვა ნარჩენები, ტერიტორიის ნახვეტი, ჩამოცვენილი ფოთლები განთავსდება ტერიტორიაზე დადგმულ საოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში და პერიოდულად იქნება გატანილი შესაბამისი მუნიციპალიტეტების დასუფთავების სამსახურებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე რეგიონის(მუნიციპალიტეტის) მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელებზე.

#### **6.6. ფაუნა და ფლორა**

საწარმოს და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს იდუსტრიულ ზონას. საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ამას გარდა, საწარმო შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილება გამორიცხულია. ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელი არაპირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან.

ექსპლუატაციის პირობში ადგილი არ ექნება მაღალი ხმაურწარმომქმნელი წყაროს ან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გადაჭარბებას დადგენილ ნორმებთან.

თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის უკვე ადაპტირებულ პირობებს გამოწვეულს მიმდებარედ უკვე არსებული საწარმოების გავლენით და ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, მათზე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

#### **6.7. კუმულაციური ზემოქმედება**

კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევ რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს.

განსახილველი ობიექტის მიმდებარედ ანალოგიური ტიპის ობიექტები არ არსებობს, ამიტომ კუმულაციურ ზემოქმედებას პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

### ლიტერატურული წყაროები

1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი. საქართველოს მთავრობის დადგენილება #408 2013 წლის 31 დეკემბერი;
2. Методика по расчету валовых выбросов загрязняющих веществ в атмосферу предприятиями минсевзапстроя рсфср. Москва 1990г;
3. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება #435 2013წლის 31 დეკემბერი;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №38/ნ2003 წლის 24 თებერვალი;
5. Методическое пособие по расчету выбросов от неорганизованных источников в промышленности строительных материалов, Новоросийск 2000г;
6. УПРЗА «ЭКОЛОГ-3». 2005;


### დანართები

დანართი 1



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო  
საკადასტრო გეგმა

პოჭის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.18.12.020.001  
პანობალების რეგისტრაციის ნომერი: 0882009020258  
პოჭის ნაკვეთის ფართობი: 58213 კვ.მ.  
დანიშნულობა: არასასოფლო-სამეურნეო  
პონებაების ტარიფი 01.02.09





სერიული ნომერი 11-11-1111, D.M

საწარმოს ნომერი 405; ჰიგი ფეიფერი  
ქალაქი თბილისი

დაწესებულების მისამართი: თბილისი, მარნეულის ქ.46

მრეწველობის დარგი: 17000 მსუბუქი მრეწველობა

საწყისი მონაცემების ვარიანტი: 1, საწყისი მონაცემების ახალი ვარიანტი  
გაანგარიშების ვარიანტი: 1, გაანგარიშების ახალი ვარიანტი  
გაანგარიშება შესრულებულია ზაფხულისათვის  
გაანგარიშების მოდული: "OHД-86 სტანდარტული"  
საანგარიშო მუდმივები: E1= 0.01, E2=0.01, E3=0.01, S=999999.99 კვ.კმ.

მეტეოროლოგიური პარამეტრები

ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	24.1° C
ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0.4° C
ატმოსფეროს სტრატოფიკაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული კოეფიციენტი, A	200
ქარის მაქსიმალური სიჩქარე მოცემული ტერიტორიისათვის (გადამეტების განმეორებადობა 5%-ის ფარგლებში)	20,2 მ/წმ

დაწესებულების სტრუქტურა (მოედნები, საამქროები)

ნომერი	მოედნის (საამქროს) დასახელება
--------	-------------------------------

**გაფრქვევის წყაროთა პარამეტრები**

აღრიცხვა:

"%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;

"+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;

"-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.

ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

1 - წერტილოვანი;

2 - ხაზოვანი;

3 - არაორგანიზებული;

4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;

5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;

6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;

7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;

8 - ავტომაგისტრალი.

აღრიცხვა	მოედნ №	სამქროს №	წყაროს №	გაფრქვევის წყაროს დასახელება	ვარია ნტი	ტიპი	წყაროს სიმაღლე (მ)	დამეტრი (მ)	აირმტვერ ნარევის მოცულობა (მ <sup>3</sup> /წმ)	აირმტვერ ნარევის სიჩქარე(მ/წმ)	აირმტვერ ნარევის ტემპერატურა (°C)	რელიეფის კოეფ.	კოორდ. X1-ღერძი (მ)	კოორდ. Y1-ღერძი. (მ)	კოორდ X2-ღერძი (მ)	კოორდ Y2-ღერძი (მ)	წყაროს სიგანე (მ)
+	0	0	1	საქევაზე	1	1	5,0	0,20	0,09	2,86479	100	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,00
ნივთ.კოდი	ნივთიერება			გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა,(ტ/წ)	F	ზაფხ:	Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ:	Cm/ზდკ	Xm	Um			
0301	აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)			0.0153000	0,3960000	1		0,545	22,9	0,7		0,501	24,3	0,8			
0337	ნახშირბადის ოქსიდი			0.0380000	0,9790000	1		0,054	22,9	0,7		0,050	24,3	0,8			



**გაფრქვევის წყაროებიდან ნივთიერების მიხედვით**

აღრიცხვა:

- "%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;
  - "+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;
  - "-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.
- ნიმუშების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

- 1 - წერტილოვანი;
- 2 - ხაზოვანი;
- 3 - არარეგულირებადი;
- 4 - წერტილოვანი წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;
- 5 - არარეგულირებადი, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;
- 6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;
- 7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;
- 8 - ავტომაგისტრალი.

**ნივთიერება: 0301 აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)**

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	1	1	+	0.0153000	1	0,5449	22,9140	0,7334	0,5008	24,3058	0,7896
<b>ჯამური:</b>					<b>0.0153000</b>		<b>0,5449</b>			<b>0,5008</b>		

**ნივთიერება: 0337 ნახშირბადის ოქსიდი**

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	1	1	+	0.0380000	1	0,0541	22,9140	0,7334	0,0497	24,3058	0,7896
<b>ჯამური:</b>					<b>0.0380000</b>		<b>0,0541</b>			<b>0,0497</b>		

განგარიშება შესრულდა ნივთიერებათა მიხედვით (ჯამური ზემოქმედების ჯგუფების მიხედვით)

კოდი	ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაზღვრები კონცენტრაცია			*ზდკ-ს შესწორების კოეფიციენტი /საორ.უსაფრთხ.	ფონური	
		ტიპი	საენობარო მნიშვნელობა	ანგარიშში გამოყ. მნიშვნელობა		აღრიცხვა	ინტერპოლ.
0301	აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)	ზდკ მაქს/ერთჯ.	0,2	0,2	1	დიახ	არა
0337	ნახშირბადის ოქსიდი	ზდკ მაქს/ერთჯ.	5	5	1	დიახ	არა

ფონური კონცენტრაციის აღრიცხვის პოსტები

პოსტის №	დასახელება	კოორდინატები	
		x	y
1	ახალი პოსტი	0	0

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	ფონური კონცენტრაციები				
		შტოლი	ჩრდილ.	აღმოსავლ.	სამხრეთი	დასავლეთი
0301	აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)	0.015	0.015	0.015	0.015	0.015
0337	ნახშირბადის ოქსიდი	0.8	0.8	0.8	0.8	0.8

საანგარიშო მეტეოპარამეტრების გადარჩევა  
 ავტომატური გადარჩევა  
 ქარის სიჩქარეთა გადარჩევა სრულდება ავტომატურად  
 ქარის მიმართულება

სექტორის დასაწყისი	სექტორის დასასრული	ქარის გადარჩევის ბიჯი
0	360	1

საანგარიშო არეალი

საანგარიშო მოედნები

№	ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე(მ)	ბიჯი(მ)		სიმაღლე(მ)	კომენტარი
		შუა წერტილის კოორდინატები, I მხარე(მ)		შუა წერტილის კოორდინატები, II მხარე(მ)			X	Y		
		X	Y	X	Y		X	Y		
1	მიცემული	-200	0	200	0	400	50	50	2	

საანგარიშო წერტილები

№	ტიპი		მოედნის სრული აღწერა	სიგანე(მ)	ბიჯი(მ)
	X	Y			
1	105,00	-45,00	2	მომხმარებლის წერტილი	
2	-144,00	-20,00	2	მომხმარებლის წერტილი	

გაანგარიშების შედეგები ნივთიერებების მიხედვით  
 (საანგარიშო მოედნები)

ნივთიერება: 0301 აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)  
 მოედანი ერთი: 1

საანგარიშო მოედნის პარამეტრები:

ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე	ბიჯი		სიმაღლე
	შუა წერტილის კოორდინატები		შუა წერტილის კოორდინატები			X	Y	
	X	Y	X	Y		X	Y	
მიცემული	-200	0	200	0	400	50	50	2

ნივთიერება: 0337 ნახშირბადის ოქსიდი  
 მოედანი ერთი: 1

საანგარიშო მოედნის პარამეტრები:

ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე	ბიჯი		სიმაღლე
	შუა წერტილის კოორდინატები		შუა წერტილის კოორდინატები			X	Y	
	X	Y	X	Y		X	Y	
მიცემული	-200	0	200	0	400	50	50	2

**განგარიშების შედეგები ნივთიერებების მიხედვით  
(საანგარიშო წერტილები)**

წერტილების ტიპები:

- 0 - მომხმარებლის საანგარიშო წერტილი
- 1 - წერტილი დაცვის ზონის საზღვარზე
- 2 - წერტილი საწარმოო ზონის საზღვარზე
- 3 - წერტილი სანიტარიული დაცვის ზონის საზღვარზე
- 4 - წერტილი დასახლებული ზონის საზღვარზე
- 5 - განაშენიანების საზღვარზე


№	კოორდ X(მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე (მ)	კონცენტრ (ზღვ-ის წილი)	ქარის მიმართულება	ქარის სიჩქარე	ფონი (ზღვ- ის წილი)	ფონი გმორიცხვამ დე	წერტილის ტიპი
---	---------------	---------------	-------------	---------------------------	----------------------	---------------	------------------------	--------------------------	------------------


**ნივთიერება: 0301 აზოტის (IV) ოქსიდი (აზოტის დიოქსიდი)**

1	105	-45	2	0,24	293	1,27	0,075	0,075	0
2	-144	-20	2	0,19	82	1,27	0,075	0,075	0

**ნივთიერება: 0337 ნახშირბადის ოქსიდი**

1	105	-45	2	0,18	293	1,27	0,160	0,160	0
2	-144	-20	2	0,17	82	1,27	0,160	0,160	0





იჯარის ხელშეკრულება N 1-2021

თბილისი

„01“ აგვისტო 2021წელი

ერთის მხრივ „შპს „აზალტ ტრანსი“ საიდ. კოდი 405372822 წარმოდგენილი ოთარ ფხაკაძის ( პ/ნ 01024035554 ) სახით ( შემდგომში მეიჯარე), და მეორეს მხრივ შპს „პიჯიფიფერი“ საიდ. კოდი 206335349 წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გურგენიძის ( პ/ნ 01012001172 ) სახით ( შემდგომში მოიჯარე), მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას ( შემდგომში ხელშეკრულებას) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით იღებს შემდეგ უძრავ ქონებას ( შემდგომში - იჯარის საგანი):

1.1.1. ქალაქი თბილისი, მარნეულის ქუჩა #46 მდებარე მიწის ნაკვეთს ფართობით 58 213 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან საერთო ფართობით 10 344,5 საკადასტრო კოდი 01.18.12.020.001 ნაწილს 350 კვ.მ შენობა-ნაგებობა

1.2. მეიჯარემ უნდა გადასცეს, ხოლო მოიჯარემ მიიღოს უფლებრივად უნაკლო იჯარის საგანი. გადასცემ უძრავ ქონებაზე მეიჯარემ მოიჯარეს უნდა წარუდგინოს ამონაწერი საჯარო და სამეწარმეო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას, იგი არ არის დაყვადებული და მასზე არ მიმდინარეობ დავა ადმინისტრაციულ ორგანოებსა ან/და სასამართლოში;

1.3. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად იჯარის საგნით სარგებლობის უფლება გულისხმობს იჯარის საგნით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად (თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის), რაც მოიცავს მოიჯარისათვის უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმ აისარგებლოს იჯარის საგნით და მასთან მისასვლელბით. ამასთან, მოიჯარე უფლებამოსილია იჯარის საგანი გამოიყენოს შემდეგი ტიპის საქმიანობისათვის:

1.3.1. ქალაქის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის მიზნით და მასთან დაკავშირებული საქმიანობა;

1.3.2. სხვა მსგავსი ან დაკავშირებული მიზნებისათვის.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

2.1.1. მოითხოვოს მოიჯარისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.1.2. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს იჯარის საგანს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის ან აზიანებს მას;

2.1.3. შევიდეს იჯარით გაცემულ ფართზე, რათა მოახდინოს მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. ფართის მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება;

2.1.4. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

2.2. მეიჯარე ვალდებულია:

2.2.1. მოიჯარეს გადასცეს უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო ქონება და მთელი დროის განმავლობაში შეუნარჩუნოს ეს მდგომარეობა;

ღაყი 87/3/619

მარი ფხაკაძე

2.2.2. არ ჩაერის მოიჯარის საქმიანობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით ან მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმებით)  
2.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

2.3. მოიჯარე უფლებამოსილია:

- 2.3.1. მოიჯარისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;
- 2.3.2. მოიჯარისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ოჯარის საგანთან დაკავშირებული ნაკლის არსებობისას დახელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 2.3.3. ოჯარის საგნის ტერიტორიაზე განათავსოს მისი ან მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული ნებისნიერი დანადგარი, ტექნიკა ან მასალები;
- 2.3.4. გამოიყენოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.
- 2.3.5. მოიჯარესთან შეთანხმების გარეშე არ გასცეს ფართი ქვეოჯარით

2.4. მოიჯარე ვალდებულია:

- 2.4.1. უზრუნველყოს საოჯარო გადასახადის გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად;
- 2.4.2. გადაიხადოს მის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადები (დენი, წყალი, გაზი, ნაგავი და სხვა).
- 2.4.3. განახორციელოს ოჯარის საგნის მოვლა-პატრონობა, იქონიოს ოგი სრულ წესრიგში და ოჯარის საგანთან მიმართებაში დაიცვას ტექნიკური ექსპლუატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) წესები და ნორმები, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები;
- 2.4.4. უზრუნველყოს ეკოლოგიური პირობების დაცვა.
- 2.4.5. ოჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის მანქანა დანადგარების დამოტყუება რომელიც ნაკლებ ზეგავლენას მოახდენს გარემოს დაბინძურებაზე
- 2.4.6. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

3. ოჯარის პირობები, საოჯარო გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოჯარო ურთიერთობა ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან დამოქმედების მომდევნო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, შემდგომ ორი წლით გაგრძელების უპირატესი უფლებით.

3.2. ყოველთვიური საოჯარო გადასახადი შეადგენს თვეში 1800 (ათასრვაას) ლარს, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადის ჩათვლით, რომლის გადახდა განხორციელდება შესაბამისი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 07 (შვიდი) დღისა.

3.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, უნაღდო ანგარიშსწორების წესით დარიცხული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 11.3 პუნქტით მითითებულ ანგარიშზე.

3.6. ხელშეკრულების გაფორმებიდან 01 (ერთი) თვის განმავლობაში მოქმედებს საშეღავათო პერიოდი რა დროსაც მოიჯარე არ იხდის 3.2 პუნქტებით გათვალისწინებულ თანხებს და ახდენს 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას.

3.7. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის და პროცენტის შეცვლა დასაშვებია ხელშეკრულების მთელი მოქმედების პერიოდის განმავლობაში თუკი ეროვნული ბანკის კურსით ლარის გაზრდა აშშ დოლართან მიმართებაში მიაღწევს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 15 %.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

4.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

4.1.2. მხარეთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

ქეთი 07/01/2014

მარი ფხვრძე

4.1.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში.

4.2. მხარეები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას, თუკი სხვაგვარად არ იქნა წერილობითი სახით შეთანხმებული მხარეთა შორის:

4.2.1. მოიჯარე არ იქნება ვალდებული მეიჯარეს აღწახდაუროს რაიმე დამატებითი ხარჯები (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, საიჯარო გადასახადი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე), გარდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (და იჯარის საგანზე ფაქტობრივი მფლობელობის შეწყვეტამდე) დაგროვილი კომუნალური და სხვა დავალიანებისა და/ან მოიბიოს ახალი მოიჯარე, მეიჯარე უპირობოდ და ცალსახად ათავისუფლეს მოიჯარეს ნებისმიერი ამ სახის მოვალეობისაგან ან ვალდებულებისაგან;

4.3. მეიჯარის მხრიდან ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას მეიჯარე ვალდებული იქნება გადაიხადოს პირგასამტეხლო 5400 (ხუთათას ოთხასი ლარი ერთი თვის საიჯარო ქირის სამმაგი ოდენობა), ასევე მოიჯარის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული დანადგარების დემონტაჟისა და ახალ ადგილზე მისი გადატანისა და მონტაჟის ღირებულება.

4.4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებული იქნება მისცეს მოიჯარეს გონივრული ვადა (არანაკლებ ორი თვისა) მოიჯარის მიერ ახალი მიწის ნაკვეთის მოძებნისა და განთავსებული მანქანა დანადგარების გადასატანად.

### 5. სამშენებლო და მოსამზადებელი სამუშაოები

5.1. მოიჯარე იჯარის ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში მოახდენს იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობაში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, მოსამზადებელ სამუშაოებში ივლისსხმება კომუნიკაციების მოსაწყობად მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მეიჯარე მხარე თანხმობას აცხადებს იჯარით გაცემულ ტერიტორიაზე მოხდეს დასამონტაჟებელი დანადგარების ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა ნაგებობების მშენებლობა საჭიროების შემთხვევაში.

5.3. მოიჯარე იტოვებს სრულ უფლებას მის მიერ იჯარის საგანზე დამონტაჟებულ ნებისმიერ მოწყობილობაზე, დანადგარზე და სხვა ნივთებზე, რომლის მოხსნა და თან წაღებაც მას სურს ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვა ნივთების გატანა იჯარის საგნიდან მოხდეს იჯარის საგნის დაზიანების გარეშე, ან იჯარის საგნის მეიჯარისათვის დაზრუნვამდე უნდა აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები. მეიჯარეს შეუძლია ხელშეკრულების ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ, მოიჯარესთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხარეთა შორის შეთანხმებული ღირებულებით დაიტოვოს მოწყობილობა-დანადგარები და სხვა ნივთები;

5.4. მოიჯარე ვალდებულია სამონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს კანონით დადგენილი ნებართვის აღების შემდეგ, ასეთის საჭიროების შემთხვევაში. ნებართვის გარეშე წარმოებულ სამუშაოებზე პასუხს აგებს მოიჯარე.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მეიჯარე წინასწარ აცხადებს თანხმობას იჯარით გაცემულ შენობა-ნაგებობაზე ნებისმიერი მშენებლობის წარმოებაზე ასევე მის საწარმოებლად საჭირო ნებართვების მოპოვებაზე.

### 6. უფლებათა გადაცემა, ქვეიჯარა და იჯარის საგნის გასხვისება

6.1. მეიჯარის უფლება არ აქვს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და/ან მოვალეობების გადაცემა მოახდინოს სხვა მესამე მხარეს მოიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.2. მოიჯარე უფლებამოსილია წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გადასცეს მის აფილირებულ პირ(ებ)ს (და/ან მესამე მხარე(ებ)ს) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი უფლებები დამოვალეობები, ან მათინაწილი. ამასთან, მოიჯარე თავად დარჩება პასუხისმგებელი მეიჯარის წინაშე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებაზე;

დაკვირ ვეწეცხიძე

მამრ ვახუაძე



6.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მოიჯარე არაა უფლებამოსილი მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს იჯარის საგანის ნაწილი. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეიჯარის პირობები (მათ შორის, ქვეიჯარის ვადა, იჯარის საგნის მოვლა და ა.შ.) შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.

**7. ფორს-მაჟორული გარემოება**

7.1. ხელშეკრულებაში გამოცენებული მნიშვნელობით, ტერმინი ფორს-მაჟორული გარემოება გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):

7.1.1. ხანძარი და აფეთქება (გარდა იმ შემთხვევისა, რაც გამოწვეულია რომელიმე მხარის მიერ), სტიქიური უბედურება;

7.1.2. სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები;

7.1.3. საკანონმდებლო აქტის გამოცემა, რომელიც კრძალავს იმ საქმიანობის განხორციელებას, რასაც ახორციელებს ხელშეკრულების რომელიმე მხარე;

7.1.4. მხარეთა კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.2. იჯარის საგანთან ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე მხარის მიერ მისი ვალდებულების შესრულების, ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე აცნობოს სხვა მხარეებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ვადით. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის და ამის გამო იჯარის საგნის გამოცენების შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში საიჯარო გადასახადი (ან საიჯარო გადასახადის შესაბამისი ნაწილი, თუკი ფორს-მაჟორული გარემოება ეხება მხოლოდ იჯარის საგნის რომელიმე ნაწილს) არ გადაიხდება. საიჯარო გადასახადის გადახდა უნდა აღდგეს იჯარის საგნის (ან მისი ნაწილის) მიმართ მოქმედი ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტის თარიღიდან;

7.3. თუ ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედება გრძელდება 45 (ორმოცდახუთ) დღეზე მეტხანს, მოიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მთლიანად იჯარის საგანთან ან მის ნაწილთან მიმართებაში. ამ საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტა არ წარმოშობს მხარეთათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობას ფორს-მაჟორული გარემოების გამო შესრულებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

**8. მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

8.1. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

8.1.1. რეგისტრირებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

8.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

8.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

**9. კონფიდენციალობა**

9.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**10. დავების გადაწყვეტა**

10.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

19.11.2014 გუგუნიძე

მარი ფხვინაძე

- 10.2. მხარეები მოიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
- 10.3. მხარის პრეტენზია, შიორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;
- 10.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება (აიიპ) კავკასიის საერთაშორისო არბიტრაჟში.

- 11. შეტყობინებების დაანგარიშვორების რეკვიზიტები
- 11.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინება ან მიმოწერა უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით და უნდა გაიგზავნოს ადრესატის დაზღვეული ფოსტის საშუალებით ადრესატის იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია 11.2 პუნქტში.
- 11.2 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის თითოეული მხარის მისამართი არის შემდეგი: მთელარე: შპს „პიოგიფიფერი“ საიდ. კოდი 206335349 საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გონაშვილის ქ., კორ. 2, ბ. 20 ტელეფონი: (+995 577) 549696.

მთელარე: შპს „ბაზალტ ტრანსი“ საიდ. კოდი 405372822  
 მისამართი: საქართველო, თბილისი გამსახურდიას გამზ. #5  
 ტელეფონი: (+995 577) 109010.

11.3 მთელარის საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. თიბისი ბანკი.  
 ანგარიშის N GE71TB7249036060100001GEL  
 11.4 შეტყობინება ან სხვა სახის მიმოწერა ძალაში შედის მისი მიღებიდან თუ სხვა უფრო გვიანი დრო არ არის მითითებული მასში.

12. ზოგადი დებულებები

- 12.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების მოტიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა მხარე(ებ)ის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;
- 12.2. ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;
- 12.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;
- 12.4. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში (და/ან დანართ(ებ)ში) ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დამოწმებულია სანოტარო წესით (და/ან რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოში), ამგვარი ცვლილება და დამატება, ასევე მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას (და/ან რეგისტრაციას შესაბამის ორგანოში);
- 12.5. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება;

მივიღე კერძო

ივანე გიგინია

12.6. ხელშეკრულება აუქმებს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ და ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიღწეულ ყველა სახის შეთანხმებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა.

12.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

12.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული გზავნილით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მხარეების რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოთ ამგვარი ცვლილებიდან 3 (სამი) დღის ვადაში, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული მხარის მიერ, და სხვა მხარე(ებ)ს არა აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

### 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მოიჯარე“

შპს „ბაზალტ ტრანსი“ საიდ. კოდი 405372822

მისამართი: საქართველო, თბილისი გამსახურდიას გამზ. #5

დირექტორი

*მარი ფხაკაძე*

ოთარი ფხაკაძე

„მოიჯარე“

შპს „ჰიგიენიფერი“ საიდ. კოდი 206335349

საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გონაშვილის ქ., კორ. 2, ბ. 20

დირექტორი

*ლევან გურგენიძე*

დავით გურგენიძე

